სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/63

ქ. თბილისი 3 ივნისი 2026წ.

სასწავლო კურსის/საგნის კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 3 ივნისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „სასწავლო კურსის/საგნის კოდის მინიჭების წესი“ (დანართი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასწავლო კურსის/საგნის კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №2627 დადგენილება.

3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დამტკიცებულია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2026 წლის ---- ივნისის №01-02-04/ დადგენილებით
დანართი

სასწავლო კურსის/საგნის კოდის მინიჭების წესი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელ სასწავლო კომპონენტებს - თითოეულ სასწავლო კურსს/საგანს ენიჭება კოდი, რომელიც წარმოადგენს უნიკალური ალფანუმერული (ასოებისა და ციფრების) კომბინაციას.

2. სასწავლო კურსის/საგნის კოდი შედგება თერთმეტი ძირითადი და რამდენიმე დამატებითი თანრიგისგან. დამატებითი თანრიგები ძირითადი ნაწილისგან გამოყოფილია ტირეთი.

3. კოდის ძირითადი ნაწილის პირველი სამი თანრიგი (მარცხნიდან) წარმოადგენს განათლების სფეროს აბრევიატურას ინგლისურ ენაზე დასახელების მიხედვით. სფეროების აბრევიატურების ჩამონათვალი და მათი დასახელებები ქართულ და ინგლისურ ენებზე წესს თან ერთვის (დანართი 1).

4. მეოთხე თანრიგი არის ციფრი და აღნიშნავს ქვესფეროს. ქვესფეროების ჩამონათვალი და მათი დასახელებები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, მოცემულია დანართში 1.

5. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე თანრიგები არის ციფრები და აღნიშნავს კონკრეტულ ქვესფეროსთვის მიკუთვნებული სასწავლო კურსის/საგნის ნომერს.
6. მერვე და მეცხრე თანრიგები არის ციფრები და აღნიშნავს იმ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი/სკოლა) კოდს, სადაც მომზადდა და დამტკიცდა ამ სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსი. ფაკულტეტების ჩამონათვალი და მათი კოდები წესს თან ერთვის (დანართი 2).

7. მეათე თანრიგი არის ლათინური ანბანის ასო და აღნიშნავს სწავლების ენას:
   G - ქართული, E - ინგლისური, D - გერმანული, R - რუსული.

8. მეთერთმეტე თანრიგი არის ციფრი და აღნიშნავს სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსის ვარიანტს (უნივერსიტეტში შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე დასახელების, მაგრამ თანაბარი მოცულობის კრედიტების მქონე სასწავლო კურსის/საგნის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამა შინაარსის, სწავლების მეთოდების და აქტივობების, ავტორის ან/და სხვა პარამეტრების მიხედვით).

9. დამატებითი თანრიგები აღნიშნავენ სწავლების მეთოდს და არის ლათინური ანბანის ასო:

   L - ლექცია, S - სემინარი (ჯგუფში მუშაობა), P - პრაქტიკული, B - ლაბორატორიული, K - საკურსო სამუშაო/პროექტი, R - პრაქტიკა.

10. სასწავლო კურსის/საგნის კოდი სრული სახით უნდა იყოს მითითებული საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში.

11. საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსში მითითებული უნდა იყოს ასევე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სერვისების სისტემის - VICI-ს ID.
12. სასწავლო კურსს/საგანს კოდს ანიჭებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კოდის მინიჭების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ელექტრონული ფოსტის მისამართზე quality@gtu.ge-ზე იგზავნება სასწავლო კურსის/საგნის დამტკიცებული სილაბუსი, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი, სასწავლო კურსის სფეროს, ქვესფეროს და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სილაბუსის ვარიანტის შესახებ ინფორმაცია.

დანართი 1

განათლების სფეროები, ქვესფეროები და მათი კოდები

განათლების სფერო		ქვესფერო	
დასახელება		დასახელება	
EDU	განათლება; Education	1	განათლების მეცნიერება; Education science
		2	მასწავლებლის განათლება; Teacher training
ART	ხელოვნება; Arts	1	აუდიო-ვიზუალური მეთოდები, მოდის და ინტერიერის დიზაინი; Audio-visual techniques, fashion and interior design
		2	ინდუსტრიული დიზაინი; Industrial design
		3	სახვითი ხელოვნება; Fine arts
		4	გამოყენებითი ხელოვნება; Handicrafts
HEL	ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე); Humanities (except languages)	1	რელიგია და თეოლოგია; Religion and theology
		2	ისტორია და არქეოლოგია; History and archaeology
		3	ფილოსოფია და ეთიკა; Philosophy and ethics
LEH	ენა (ჰუმანიტარული მეცნიერებები); Languages (Humanities)	1	ენის დაუფლება, ლიტერატურა და ლინგვისტიკა; Language acquisition
SOS	სოციალური მეცნიერებები; Social sciences	1	ეკონომიკა; Economics
		2	პოლიტიკის მეცნიერებები და სამოქალაქო უფლებანი; Political sciences and civics
		3	ფსიქოლოგია; Psychology
		4	სოციოლოგია და კულტურის კვლევები; Sociology and cultural studies
JOI	ჟურნალისტიკა და ინფორმაციის მართვა; Journalism and information	1	ჟურნალისტიკა, საბიბლიოთეკო-საარქივო საქმე და ინფორმაციის მართვა; Journalism, Library, information and archival studies
BUA	ბიზნესი და ადმინისტრირება; Business and administration	1	საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა; Accounting and taxation
		2	ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა; Finance, banking and insurance

		3	მენეჯმენტი; Management

განათლების სფერო		ქვესფერო	
კოდი	დასახელება	კოდი	დასახელება
		4	ადმინისტრირება; Administration
		5	მარკეტინგი და რეკლამა; Marketing and advertising
		6	სამდივნო და საოფისე საქმე; Secretarial and office work
		8	საჯარო მმართველობა (14.02.2018, № 01-05-04/20
LAW	სამართალი; Law	1	სამართალი; Law
BRS	ბიოლოგიური და დაკავშირებული მეცნიერებები; Biological and related sciences	1	ბიოლოგია; Biology
		2	ბიოქიმია; Biochemistry
ENV	გარემო; Environment	1	გარემოსმცოდნეობა; Environmental sciences
		2	ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება; Natural environments and wildlife
PHS	ფიზიკური მეცნიერებები; Physical sciences	1	ქიმია; Chemistry
		2	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგიისა და გეოდეზიის გარდა); Earth sciences (except Geology and Geodesy)
		3	გეოლოგია; Geology
		4	გეოდეზია; Geodesy
		5	ფიზიკა; Physics
		6	გამოყენებითი ფიზიკა; Applied physics
MAS	მათემატიკა და სტატისტიკა; Mathematics and statistics	1	მათემატიკა; Mathematics
		2	სტატისტიკა; Statistics
		3	საინჟინრო მათემატიკა; Engineering mathematics
ICT	ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; Information and Communication Technologies	1	კომპიუტერის გამოყენება; Computer use
		2	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება; Database and network design and administration
		3	პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება/შემუშავება და ანალიზი; Software and applications development and analysis

EET	ინჟინერია და საინჟინრო საქმე; Engineering and engineering trades	1	ქიმიური ინჟინერია და პროცესები; Chemical engineering and processes
		2	გარემოს დაცვის ტექნოლოგია; Environmental protection technology
		3	ბიოლოგიური ინჟინერია; Biological engineering

განათლების სფერო		ქვესფერო	
კოდი	დასახელება	კოდი	დასახელება
		4	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; Energy and Electrical engineering
		5	ტელეკომუნიკაცია; Telecommunication
		6	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია; Electronics and automation
		7	მექანიკა და ლითონის დამუშავება; Mechanics and metal trades
		8	მეტალურგია და მასალათმცოდნეობა; Metallurgy and material science
		9	ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები; Motor vehicles, ships and aircraft
MAP	წარმოება და გადამუშავება; Manufacturing and processing	1	საკვები პროდუქტების გადამუშავება; Food processing
		2	მასალების (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა) ტექნოლოგია და სამეურნეო-საწარმო კომპლექსები; Materials (glass, paper, plastic and wood)
		3	ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი); Textiles (clothes, footwear and leather)
		4	სამთო საქმე; Mining engineering
		5	წიაღისეულის მოპოვება; Mining operations
AAC	არქიტექტურა და მშენებლობა; Architecture and construction	1	არქიტექტურა; Architecture
		2	ქალაქის დაგეგმარება; Town planning
		3	მშენებლობა; Construction
		4	სამოქალაქო ინჟინერია; Civil engineering
		5	ლანდშაფტის არქიტექტურა; Landscape architecture

		6	გარემოს დიზაინი; Environmental design
		7	ინტერიერის დიზაინი; Interior design
AGC	სოფლის მეურნეობა; Agriculture	1	მემცენარეობა და მეცხოველობა; Crop and livestock production
		2	მებაღეობა; Horticulture
FOR	მეტყევეობა; Forestry	1	სატყეო საქმე; Forestry
FSH	მეთევზეობა; Fisheries	1	მეთევზეობა; Fisheries
VTR	ვეტერინარია; Veterinary	1	ვეტერინარია; Veterinary

განათლების სფერო		ქვესფერო	
კოდი	დასახელება	კოდი	დასახელება
HTH	ჯანდაცვა; Health	1	ფარმაცია; Pharmacy
PES	პერსონალური მომსახურებები; Personal services	1	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება; Travel, tourism and leisure
HHS	ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები; Hygiene and occupational health services	1	საზოგადოებრივი სანიტარია; Community sanitation
		2	პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; Occupational health and safety
SES	უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები; Security services	1	სამხედრო საქმე და თავდაცვა; Military and defence
		2	ადამიანებისა და საკუთრების დაცვა, კრიმინალისტიკა; Protection of persons and property, Criminalistics
TRS	ტრანსპორტის მომსახურებები; Transport services	1	ტრანსპორტის მომსახურებები; Transport services

დამტკიცებულია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2026 წლის ---- ივნისის №01-02-04/ დადგენილებით
დანართი

დანართი 2

ფაკულტეტების ჩამონათვალი და მათი კოდები

№	ფაკულტეტი	კოდი
1	სამშენებლო ფაკულტეტი	01
2	ენერგეტიკის ფაკულტეტი	02
3	სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი	03
4	აგრარული მეცნიერების და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი	04
5	სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი	05
6	არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი	06
7	სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი	07
8	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი	08
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	09
10	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი	10
11	სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	11